მეტაკოგნიტური მართვის თეორია: აკადემიური დიპლომატიის შესაძლებლობები აფხაზეთისთვის

მოხსენება ეძღვნება 1992-2022 წლებში აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაღუპული ადამიანების ხსოვნას და აფხაზეთის მკვიდრთა შთამომავლობის საერთო მომავალს.

მე განსაკუთებული მადლობა მინდა გადაუხადო ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს - ბატონ თემურ ჩილაჩავას, საპაპტიო პრეზიდენტს - ოთარ ჟორდანიას და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ ზურაბ ლომთათიძეს ამ ფორმატში მომხსენებლად მოწვევისათვის და საერთოდ აი ამ ფორმატის შექმნისთვის.

როდესაც მთელს ქვეყანაში გრძელდება შიდა დაპირისპირებების ხელოვნურად განვითარების პროცესი, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ორი მძლავრი ინტელექტუალური ცენტრი ერთად აღნიშნავს აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის - 1992-1993 წლის ომის დაწყების თარიღს. ეს დღე შეიძლება გადაიქცეს ისტორიულ დღეთ და დაფიქსირდეს საქართელოს ისტორიაში, არა როგორც ომის და ტრაგედიის, არამედ როგორც აკადემიური ძალების კონსოლიდაციის და აკადემიური დიპლომატიის დღე.

დაუშვებელია, რომ საქართელოს კალენდარში არსებობდეს ამდენი შავი დღე, ამდენი შავი თუ წითელი ლაქა. ყოველივე დღისათვის უნდა მიმდინარეობდეს ბრძოლა. უნდა მომიდინარეობადეს ბრზოლა იმისთვის, რომ ჩვენი საერთო მომავალი იყოს ბედნიერი.

არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლობა, არამედ საერთო ბედნიერ მომავალზე ზრუნვა უნდა გახდეს ჩვენი მიზანი. მიზნის და ამოცანების შეცვლა განაპირობებს ჩვენი აზროვნების და ყოველდღიური ქცევების შეცვლას.

ჩვენი აზროვნება ლიუის კოზერის მიხედვით - ატარებს რეგრესიულ ხასიათს. ჩვენ რეგრესიული კატეგორიებით ვაზროვნებთ, ამიტომ მე მოგვართავთ თქვენ, რომ ჩვენ ვეცადოთ დავინახოთ 30 წლიანია ფხაზეთის კრიზისი, არა მხოლოდ როგორც ტრაგედია, არამედ, როგორც მომავალი განვითარების განსაკუთრებული შესაძლებლობა.

ანუ - დღის წესრიგში დგას ჩვენი ცნობიერების დევიქტიმიზაცია. რაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა უარი ვთქვათ მსხვერპლის სტატუსზე, არამედ ნიშნავს იმას რომ გავიაზროთ ჩვენი სხვა შესაძლო კოლექტიური როლები. საუბარია კოლექტიურ ტრავმაზე, რომელიც მივიღეთ და საუბარია პოსტტრავმულ განვითარებაზე. ტრავმა არ უნდა აკნინებდეს, არამედ უნდა ხელს უწყობდეს პიროვნების თუ ჯგუფის სულიერ, ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას.

და იმისთვის რომ ჩვენ ეს შევძლოთ, მიმაჩნია აუცილებლად, რომ მოვახერხოთ ჩვენი ახალი ეგზისტენციონალური მისიის დანახვა.

რა არის კონფლიქტების მეტაკოგნიტური მართვის თეორია?

მეტაკოგნიტური მართვის თეორიის საფუძველბის თაობაზე მე ვისაუბრე ჩვენს შარშანდელ შეხვედრაზე 2021 წლის აგვისტოს. მოკლედ ვიტყვი, რომ ეს არის პროცესების მართვის კულტურა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება არსებული მართვის მეთოდებისგან, და თავის შინაარსში წარმოადგენს პროცესების მართვის პროცესების მართვაზე ზრუნვას.

რა კავშირშია ეს თეორია კონფლიქტების მართვასთან?

ამ თეორიის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს - **მეტადიპლომატიის კონცეპცია,** რომელიც შეიქმნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტების ბაზაზე - 2012-2019 წლების კვლევების შედეგად. მინდა ავღნიშნო, რომ ეს მიდგომა განსხვავდება როგორც ამერიკული მულტიარხული დიპლომატიის, ასევე ქსელური დიპლომატიის და სხვამ მიმართულებების.

მეტადიპლომატია წარმოადგენს ჰოლისტურ კონცეპტს, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლობის ფორმების სიღრმისეულ დივერსიფიკაციაზე. ამ მიდგომამ შექმნა შესაძლებლობა რომ მოეხდინა „პროეცირება“ ახალი მიმართულებების წარმოქმნა.

რა არის აკადემიური დიპლომატია?

- აკადემიურ სფეროში მოღვაწე ადამიანებს შორის ურთიერთობა.
- აკადემიებს, როგორც სოციალური ინსტიტუტების ურთიერთობა
- სტატისტიკური მონაცემები
- აკადემიური დიპლომატიის რესურსი საქართველოში

პოლიტიკური მოდელირება როგორც მეთოდი.

- შესაძლებელია თუ არა, რომ 2 აკადემიამ შესძლოს ეფექტიანი და სამაგალითო ურთიერთობების აწყობა ურთიერთშევსების პრონციპიდან გამომდინარე.
- მინდა წარმოვადგინო ჩემი სტრატეგიული ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით!!!!!

დეპოლარიზაციის პოლივარიანტული არსი:

- ოპონენტის განდევნა
- ოპონენტის ჩასასნვლა
- კონფლიქტის შენარჩუნება - პარალელური თანაარსებობა
- სინკრეტული თანაარსებობა
- ერთიან პროდუქციაზე ორიენტირებული თანამშრომლობა

- ფედერატიული სისტემის შექმნა
- რეინტეგრაცია

1. აფხაზეთელების კონფლქიტური აზროვნების ფსიქოლოგიური ფენომენის ისტორიული არქეტიპი - სებასტოპოლისის ეფექტი - ტყუფთა კონფლიქტი. სისტემის პერმანენტული დაშლის ფაქტორი.
2. დევნილი აკადემიური საზოგადოების ფენომენი
3. დევნილობაში მყოფი ორი აკადემიის თანაარსებობის და ურთიერთშევსების სამაგალითო მოდელი
4. კარლ დოიჩის უსაფრთხო თანასაზოგადოების მოდელი
5. სამშვიდობო პროცესების და ინსტიტუტების გლობალური მსოფლიო კრიზისი
6. აფხაზეთის ინტელექტუალური ელიტა, როგორც დაპირისპირების მსხვერპლი
7. აფხაზეთის აკადემიური ელიტის სოციოლოგია და მისი გლობალური ეგზისტენციონალური მისია
8. „მიბაძვის ეფექტი“ - ლოკალური და საერთაშორისო განზომილება.
9. ახალი აზროვნება
10. აფხაზეთის მეცნიერების გლობალური მისია და აკადემიური დიპლომატიის როლი
11. ჰოლისტური აზროვნების
12. აფხაზეთის კონლფიქტის მოგვარების კომპოზიცია აკადემიური დიპლომატია
13. 27 სექტემბერს ორ აკადემიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება და ერთიანი სტრატეგიის წარმოდგენა.
14. ექსპერიმენტის არსი - აკადემიური დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრის პროექტი.

გამოწრთვნა სიძულვილით!!!!

ძალა უნდა ვეძებოთ არა იმაში, რომ ვართ ერთნაირები, არამედ იმაში, რომ ვართ განსაკუთრებულები, დამოუკიდებლები და მხოლოდ ეს იძლევა ურთიერთაღიარების და ურთიერთპატივისცემის საფუძველს.

ორის ან მეტი სუბიექტის თანაარსებობა ერთ სივრცეში. ეს არის საიდუმლოების არსი.

ქართთა და აფსუათა ურთიერთობამდე დაყვანილი აფხაზეთის ბევრად უფრო რთული პოლიეთნიკური სისტემა ამ ბინარული პრიმიტიული მოდელით ვერ იმართება და ისტორიამ ეს დაამტკიცა. აქ არ უნდა აურიოთ ერთმანეთში აფხაზთა და ქართველთა ურტიერთობა, ეს პრობლემის სრულიად სხვა სირთულის განზომილებაა.

რეალური გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა გაჩნდეს გარკვეული ძალა, რომელიც გაუწებს ამას საბოტაჟს. არ და დაუშვებს ამ პროცესის რეალიზაციას. ამიტომ, ამ კვლევითი პროექტის პრეზენტაცია და რეალიზაცია, არის ლუსტრაციის მექანიზმი.